

572 / 2  
1982

1982 ՄՅՅԵՆՆԵՐԸ N2




ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ



# რატომ მიყვარს თებერვალი

იკაპლი ახაზიძე  
 თებერვალი მიტომ მიყვარს, —  
 ცივი ზამთრის დასასრული,  
 რომ იღვიძებს დედამიწა,  
 ყინვისაგან გაშარცული.  
 არემარე მოიხედავს  
 ნათოში და ნაზამთრადი,  
 გაზაფხულის შესახვედრად  
 იშმუშნება მთა და ბარი.  
 მზე ააწყობს ოქროს სიძებს,  
 ემატება სითბოს ძალა  
 და ჯაჯილი ცას შესცინებს,  
 არ დამზრადია, არ დამზრადია!  
 • თებერვალი მიტომ მიყვარს,  
 რომ ჩაღვება ხეში წყალი,  
 მიტომ მიყვარს, მისთვის მიყვარს  
 საქართველოს თებერვალი. —  
 რომ ღზინი დგას მთა და ბარში,  
 ყველგან მზეა, ყველგან თბილი,  
 რომ ჩვენს შამშულს თებერვალში  
 გაუთენდა შვების დილა.



## ს ა ზ ე ნ ი ა ლ

ა. ზოგიაშვილი

მიყვარს, მიყვარს, საქართველო,  
 შენი კობტა მთა-ბარი,  
 მშაბატული გაზაფხული  
 და ფრთათფერი ზამთარი,  
 მიყვარს შენი ღურჯი ცა და  
 მიყვარს შენი ვიდეები,  
 ოქროსფერი ვიდეები,  
 წვიმა მიყვარს ჟუჟუნა და  
 ცაზე ცისარტყელები.  
 მიყვარს შენი ვენახები,  
 წყაროები აწყარა,  
 შენი ზღვით თუ ნაკადულით  
 აბა, ვინ არ დამტკბარა!  
 მიყვარს შენი სოფლები და  
 ქალაქები ახალი,  
 მოქათქათე ველაგური  
 და საზღები მაღალი.  
 საქართველოვ, მიყვარს შენი  
 ცადაწვდილი ჭაბარი,  
 შენი მფელი, შენი ხაღი,  
 შენი კობტა მთა-ბარი!







ის დიდი თელები წინა საუკუნეში იყო დარგული.

ზაფხულში ხომ ლამაზია თელები, შემოდგომაზე, ფოთლები რომ შუყფითლდებათ, კიდევ უფრო ლამაზი. მაგრამ ზამთრობითაც არ გამოიყურებიან ცუდად. წვრილი, წვრილ-წვრილი მოწითალო კვირტებით შეხორხლილი შავი ტოტები ბადებებივით არის ხოლმე გახლართული ჰაერში. თოვლი რომ მოვა, ის წვრილი ტოტები ერთიანად შეიფიფქება და თელა ისე დგას, თითქოს ნისლის თეთრი ქულა ამოსულიყოს მიწიდან. გაიფრენს შიგ შაშვი ან ჩხართვი და ნამოვა შვავ-შვავად თოვლი. ქარნი ამინდში ფოთოლგაცვენილი თელა სასიამოვნოდ შივის.

ბებერ თელებს ხშირად აქვთ ხოლმე ფულუროები. შიგ ბუდობენ ციყვები, თრიები და თაკვები.

არ ვიცი რატომ და თელებს ძალიან ეტანება მეხი. რა თქმა უნდა, — გამოცალკევებით მდგარ თელებს. დაიჭექებს, და ავარდება თელის ტოტებიდან კვამლი. ამიტომ ავდარში გამოცალკევებით მდგარ თელის ქვეშ შეფარებას არ გირჩევთ. არადა, კახეთში, ვენახებში და ყანებში ხშირად შეხვდებით მარტომდგარ თელას, რომლის ქვეშაც მუშაობით დაღლილი კოლმეურნები ისვენებენ.

თელა ხმელიც კი ლამაზია. ერთი ხნიერი მარტოხე იდგა გამარჯვების გამზირზე, დიდუბის ხიდით რომ მიტროს მხრიდან გავალთ, მარჯვნივ. იყო მრავალტოტი, გადამრგვალებული, უჩვეულოდ თანაზომიერად გახლართულ-გამოხლართული და მკვეთრად მიხატული თეთრი შენობების ფონზე. მერე ვნახე, ფესვებიანად ამოგდო ბუღდოზერს და სააღმშენებლო ნაგავზე მიიჭყუნა დაღენილ-დასახიჩრებული.

თელებს ეკლესიებისა და ხატების ირგვლივაც რგავდნენ.

ძალიან სანყენია, თელას რომ ვინმე უღიერა დექცევა.

კიდევ ერთი მშვენიერი თელა მაქვს ჩარჩენილი გულში. ის თელა სოფელ გორანის მისასვლელთან, პურის შემოსულ ყანაში, ცოტა შემადლებულზე იდგა. ისხდნენ მის ქვეშ სტუდენტი გოგონები, „სულიკოს“ მღეროდნენ, მზე კიდევ ჩასასვლელად იყო დანეული. ისეთი კარგი იყო ის ყანაც, თელაც, „სულიკოც“ და მზეც, მე და ჩემს ამხანაგს, უკვე კაცებს, ცრემლები მოგვადგა და გზის პირას ჩავსხედით, რომ ჩვენი ფეხის ხმა არ შერეოდა სიმღერას.

შარშან ვიყავი იქით — აღარც ის თელა დგას.



## ს ა მ ზ ა დ ის ი

### ვ ა ნ ო ც ი ნ ე ა ქ ი

კურდღელს მოაქვს კომპოსტო, ტერითს მოაზრავს ძღვს, ციყვი წყალს ეზიფება, კასის ზრეცხავს ძირს, დათუნია ნიახურს და ცერცელს პრის, ბაქია ჰამს სტაფილას, აკრიკინებს კბილს, მგელი, ტურა, მელია ამაზადებენ მწნილს, საწყად ფისოს, მთვდემარგს არ აცლიან ძიღს...

### ო ხ ვ ი

ვიტი, ვიტი, ვიტი, ვიტი! — კარ-მიდამოს იკედებს იხვი, წყალში მხნეა, ეზოში კი, არის გაუბედავი... ვიტყვი, ვიტყვი! — რომ გვაშინებს რა უნდა თქვას, ნეტავი!

## ზ ღ ზ ა კ ო ვ ზ ი თ დ ა ი ლ ი ა თ !

ღიას ვერ მოვაშდევინეთ შხაპთან ფუსფუსი, ტრიალი, ონკანს მოლშევებს, წუწოაობს, წყალს გააქვს ჩხრიალ-თქრიალი. დეიკომ უთხრა: წყლის დაღერა არ შეიძლება, ღიაო!.. გახსოვდეს ერთი ანდაზა:

ზღვა კოვზით დაიღიაო!



# ცისფერი ცრემლის აბჯამი

აქაკი ზევაძე

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

ცისია მარტო გაიქცა შინისაკენ. სკოლას რომ გაშორდა, მაშინლა წასკდა ტირილი.

— მოიცა, ცისია! — მოესმა ვიღაცის ხმა.

შეშინებულმა მიმოიხედა. გზაზე არავინ ჩანდა. აჭრილი სიმინდის ყანის ახლო, პატარა მინდორზე ობლად იდგა მაღალი კახამბალი და შეყვითლებული ფოთლები მზეზე ოქროსფრად უბრწყინავდა. ეს იყო და ეს.

ცისია ისევ გზას გაუყვდა.

იგივე ხმა ისევ დავნიდა:

— ნუ გარბიხარ, ნუ გარბიხარ! ერთი რაღაც უნდა გკითხო!

არა, ეს მოლანდება სულაც არ იყო. ცისიამ გაიფიქრა: ალბათ რომელიმე ჩემი ამხანაგი კუკუდამალობანას მეთამამებო და გასძახა:

— როცა გითხრა ი, მაშინ გამოდი! კარგი! გამოდი, მოგებულნი ხარ, გამოდი!

— გამოსული არა ვარ? ვერ მხედავ?

— რა ვქნა უჩინმაჩინის ქუდი გახურავს?!

— არ მახურავს უჩინმაჩინის ქუდი. რატომ ტირიდი, ჰა? გამიმხილე!

— კახამბალო, კახამბალო, ნუთუ შენ მე-ლაპარაკები?! — გაიოცა ცისიამ, და კახამბალმაც უხმოდ დაუქნია კენწერო.

— არა მჯერა! ხის ლაპარაკი ვის ვაუგონია? ჰეი, ვინ მატყუებ მანდ? — ცისიამ კახამბალის ყველა ტოტს შეავლო თვალი, ზედ ხომ არავინ არის დამალული.

— არავინაც არ გატყუებს, სწორედ მე გელაპარაკები — კახამბალი. შენმა ტირილმა ამომადგმევინა ენა. ჰო, შენი ერთი ცრემლი, ცისფერი ცრემლი, ჩემს ახლოს დაეცა და კვნესით გასკდა. შენ ისეთი კარგი გოგონა ხარ...

— შენ რა იცი, რომ კარგი გოგონა ვარ?

შენ რა იცი, რომ ცისია მქვია? ვინ გითხრა?

— ჩემით ვიცი, ჩემო კარგო, ჩემო. შენ იქნებ აღარ გავგონებდა, მე კი რა დამავინყებს! სამი წლისა არც იყავი, ზამთრის დამდეგს ბებიას მოყვებოდი სწორედ ამ გზაზე. მე რომ მომიახლოვდით, მომჩერდი და ატირდი. რა გატირებს, გტკივა რამეო? — შეეშინდა ბებიას. ამ კახამბალს რომ შეეხედე, იმაზე ამეტირო, მიუგე შენ. როცა ცივა, ყველანი თბილად იცვამთ, მეც ფუთონით, ამ ხეს კი, ალბათ, არც დედიკო ჰყავს, არც ბებიკო, შეხედე, რა შიშველი დგასო. მერე ბებიას ჰკითხე, რატომ არის ასე შიშველიო? ხის ტანსაცმელი ფოთლებია, ახლა კი ფოთლები აღარა აქვსო, — აგისხნა ბებიამ. ფოთლები რომ ეცვას, ასე ხომ აღარ იკანკალებს?





რატომ აღარ აქვს, ვინ წნართავო, — დაინტერესდა მუხი. ქარშია, მოციგო ბებიამ და დაუძახა, ზამთრის ქარშია. არ დამშვიდდა: ცოდავ შიშველი ხე, ჩვენ მოვეტანათ რამე და ჩავავითო, რომ არ შესცივდეს. ჩვენ არა გვაქვს მაისის ტანსაცმელი, გითხრა ბებია. აბა, სცივდები სულ ასე შიშველი უნდა იდგეს და კანკალებდეს? ზამთარში ამის ფოთლები სად წაიღო? — არ მოეშვი შენ. ზოგი მინაში შეინახა. ზოგიც თოვლებზე. ნუ გეადრადება, ხე ყოჩაღია, სცივის არ ეშინიაო, — გაცნობდა ბებია. — ნულარ ტირი, ზაფხული რომ მოვა, ზამთრის შენახულ ფოთლებს ისევ ამოუშვებს მინიდანო. მერე ის ფოთლებს სად წაავლებო, — ჰკითხე შენ. ისევ ხის ტოტებზე დასხვებიანო. ჩიტებივით? — ჰკითხე შენ. მუ, მშვენი ჩიტებივითო. ამ იმედმა გაგაქოშა. მამხრეველი შენი ტრილი და ცრემლი ისე მომაძალუნდა, დიდ მადლობა-მეტიც, წამოვიძახე, შავრავს ხის წამოძახილი ჩემს გულშივე დარჩა, ვერავინ გაიგონა, ვერც შენ, ვერც მინდორში, ვერც გზაზე და ვერც წყაროში... დღეს კი იმ შენმა უთმა ცისფერმა ცირქლამ ამომადგვივნა ენა. შენ ტყუალბარბალოდ არაფერზე იტყობ. გაზაფხუ, რა გაგაჭირებია? იქნებ დახმარება შემიძლოს? — ბიჭმა მანყენინა. ჩემი კლასელია, თოი ჰქვია.

— თოი?! მერე რაო იმ თოიმ?  
 — თინკოს აეშარა, მასწავლებელმა რომ გაიძიხა, რატომ არ მიკარნახე, შენი ბრალია, ორიანი რომ მივიღეო. შაბთი შაბთიო, მერე მუშუტი გაატარა და აატრია. მე თინკოს გამოვეკვირე. ვერ რომ გავითვალისწინებ არ სწავლობ, რა სხვისი ბრალია-მეთქი. იმან კი მეც წამართვა ბაბთი და ნიხილე მომიჩინა. იქ თავი შევიკავე და გზაზე მარტო რომ დავტრი, მამინდა წამსვლა ტირილი... ვანა ბიჭმა გოგოს პატივი არ უნდა სცეს?...  
 — თოი... თოი... ალბათ, ეს ის თოიაა, ეეჰ! — ამოიხრა კახაბაძემა.  
 — იცნობ? თოისაც იცნობ?! — თვალები გაუფართოვდა ცისას.  
 — ხვალ შენ, თოი და თინკო ერთად მე-ნეთი... როცა ვნახავ, მაშინ გეტყვი, ნამდვილად ვიცნობ თუ არა...  
 მეორე დღეს, შუადღისას, ეეხებ დამნახა-

ვისაეთი თაყნაქინდრული იდგა კახაბაძეთან:  
 — თინკო დღეს სკოლაში არ იყო. თოიმ კი უარი მტკიცეა, ახლა კახაბაძეთან რა ჭირი მინდა, ფოთლების მეტი არაფერი ასხია, ხბო ხბო არა ვარ, ხის ფოთლებს ვჭამო. მე უთხარი გიბარებებს და ერთად მივიდეთ-მეთქი. სულელი ხარო, ხის ლაპარაკი ხის გაუფართო, თავში წამოშითაქა.  
 — ცისია, შენ უნდა აჯობო თოს.  
 — როგორ ვაჯობო, ხის ბიჭი, მე გატგო... ინიტომაც ვტირი.  
 — გავიდა კიდევ ერთი დღე და ცისიამ, თინკომ და თოიმ ერთად მიიჩინეს კახაბაძეთან.  
 — აბა, მოვედით! — ამყავდ წამოძახა თოიმ და ცისის ხელი წაპკრა, — ერთი დამანახვე, ამ შენმა ხემა რა ლაპარაკი იცის!  
 — თოი, გამახარე, რომ მოხვედი! — ფოთლებს შრილით წაიღიინა კახაბაძემა. — კარგად გიცნობ. შენ თურმე მტკიცე მე კი არა, ამანაგაგებსაც უღერიდა მეტეეთი. აბა გრცხებივო.  
 — ხე გაჩაქმდა, პასუხს დაელოდა.  
 — თოი, გავიქ პასუხი, — უთხრა ცისიამ.  
 — ვინ მეთხა რამე, პასუხი რომ გაცეო? — გაიკვირვა თოიმ.

## ტ ა გ ე ვ ი ა

### ზ რ ა ნ ა პ უ ზ ა ნ ი ს ი მ

ჩვენში გავრცელებული სახელებიდა გაცანობთ ზოგიერთის მნიშვნელობას ამ სახელებიდან ზოგი ძირული ქართულია; სხვები ბერძნულიდან, სპარსულიდან ან სხვა ენებიდან არის შემოსული

**ვ ა თ ი ს ს ა ნ ა მ ე ლ ი ა**

ან ზორ — თვისუფალი.  
 ბ ა ა ნ ა — ტანმორჩილი.  
 ბ ე გ ი, ბ ე კ ა — ბატონი.  
 ბ ე ს ი კ — ტყისა.  
 ბ ი ძ ი ა — ბიძისა.




— თოი, დედას გეფიცებო, მეც გავიგონე ხის ხმა, — მიეშველა ამხანაგს თინკო.  
 — ან ორივე ტყუილად იფიცებო დედას, ან ორივეს გულახდებთ რაღაცა, ან ჩემი გამასხრება გინდათ! — დიონხვი შემოიყარა ბიჭმა.  
 — შო, მართლა, ახლავა მომავგონდა, — ისევ აღაპარაკდა ხე, — თოი მართალია, ჯერ ჩემს ხმას ვერ გაიგონებს. ვისაც ნამდვილად ვუყვარებო, ჩემი ხის გაგონება მხოლოდ იმას შეუძლია. ცისაც მე ვიტყვი, თოს თქვენ რომეხმარებო. კარგა ხანია მე ამ მინდორში ვდგავარ და ვდგავარ. ჩემს ნინ დადიან იდიბიბო, პატარბიბო. არ დაგიმალავო, მე უფრო მაშუშები მიყვარს. გაის რომ დავინახავ, მიხარია, კახას რომ დავინახავ, მიხარია, ვანს რომ დავინახავ, მიხარია, თინკოს რომ დავინახავ, მიხარია, აქ ცისისა გავაღამოვ ხომ მიხარია და მიხარია. როცა დამეწინდები, მაშუშებს უხმოდ ვეპატარებები. შემომესივებო ჩიტებივით, ჩემს ტოტებზევე შექცევინა ბაღს ან დაკრეფენ და კალათებში მიმეზიარებებო, რომ სხვისასაც არ გონ. ეს თქვენი თოი კი შემომამბობდებო, ყველაზე დახუნძლულ ტოტებს ამოირჩევი, შემომამტყრევი და წაიღებ. თვითონ არ ხებო.

## შ ე ნ ე

ბ ო რ ი ს — მებრძოლი.  
 გ ა ი ო ზ — მიწიერი, მიწის შვილი.  
 გ ა ლ ა კ ტ ი ო ა — რძისა, რძინა.  
 გ ა ლ ე რ კ ი ა — ძლიერი ხარი.  
 გ ო ა ნ ა — ბერიკაცი.  
 გ რ ო გ ლ — მდიდარე, ფხიზელი.  
 გ უ რ ე ლ ა — უარისსიტე.  
 დ ი მ ი ტ რ ი — დემეტრას კუთვნილი. (დმეტრა ბერძნულ ღმერთივანა; მაშინშივე დღის ქალღმერთი).  
 ე ვ გ ე ნ ი — კეთილშობილი.  
 ე ლ გ უ ჟ ე ა — ხალხის ძალა.

ნად მიღობდები, მე კი მტკიცე დამტყრული ტოტები, მარტო იმ დღეს კი არა, სულ მტკიცე მთელი წელიწადი. მასხია თუ არ მასხია, გზაზე თოსს გამორჩენისას ტანში მარტო-ლებს შემეცდომავებ, ცარილი რომ ვარ, ხბო მერე, ჩემსკენ არც კი გამოიხებები, მაგრამ მის დანახავზე ძველი ტყუილი მიახლდება. ხოლმე, მაგას კი პგონია, მე არაფერი ვციცი, არაფერი მანსუხებს, არაფერი არასდროს არ მტკიცეა, ეეჰ!  
 გოგონებმა ხის ნათქვამი სიტყვა-სიტყვი გადასცეს ბიჭს, მაგრამ თოიმ არც ახლა დაფერვა — ჩემს გასამასხარებლად იცოვებო. მერე უცებ გაბრაზდა, ლოლს დაავლო ხელი და ხეს მიაჩრტა. ვაი, ხის მერჩია! — დაიკუნწა კახაბაძემა და უამრავი ფოთლი ცრემლებივით დასცვივდა.  
 — თოი, ეს რა ჰქვინა, რა დავიშვავა, ბიჭო, კახაბაძემა? ერთი შენ მოგატყანს ქვა, ენახავო, რა გუნწაზავე დაფერვი. ცემის ღირსი ხარ, ცემის!  
 — მოვიათ! — ეკლავ აღაპარაკდა ხე. — თოსს ეს გაბრაზება კარგად შენიშნა. ეგ ახლა თავის უჯუთია თავს უფრო შემოსწავრა. ახ ახლა კი მიმეწინადა, რომ, როგორც ნამდვილი ვაჟიკი, მდლე შეიგნებს ყველა ჩადენილ დანახაულს და ისევე შესტუმრებო, ლოლენ ამეწერად მარტო. მაშინდა გავიგონებს ეგ ჩემს ხმას. ესეც გადაეციო, ისე არ გაუშვათ! — და გოგონებმაც გადასცეს თოსს ხის ეს ნათქვამი.  
 დაფიქრებული თოი მარტო წავიდა შინ. ისე მიათრევადა ფხვებს, თითქმის რაღაც მძიმე ტვირთი ჰქვიდაო. ერთი თვის შემდეგ კი მარტო მივიდა კახაბაძეთან, რომელსაც რამდენიმე ფოთლივით შეურჩენოდა.  
 — აი, მოველა. გამაფიქრე შენი ხმა, თუ მართლა შეგაძლია ლაპარაკი! — და ბიჭმა თამამად მზეხედა ხეს.  
 — მადლობა, რომ მოხვედი! ამერიდინ შენს დანახავზე არასოდეს უსიამოდ აღარ გამაფრეოლებს. მადლობლი ვარ. შენ კი მადლობა უთხარი ცისის ცისფერ ცრემლს. — და ხეს უკანასკნელი ფოთლები ისე დასცვივდა, როგორც ცრემლები, ლოლენ ეს უკვე სიხარულის ცრემლები იყო.



ავთანდილ გუზგინიძე

ამ ბოლო დროს ბუჭე-ბიჭი  
მეტიხმეტად გაგვისუქდა,  
ამისთანა გასუქება,  
არვის უნდა.  
ჯერ იყო და ათი კილო,  
მერე — ასიც მოიმატა,  
ლამის ჩვენაც

გადაგველაპოს,  
ისეთი აქვს მგონი, მადა...  
სპილოსაგან გაიგონა:  
— ამ ბიჭს რატომ

ატირებთო,  
ერთი რაა, ტკბილი წყალი  
არ მყოფნისო ათი ვედრო.  
ბუჭეც ფიქრობს:  
წელს თუ არა, გაისადო —  
შეიძლება

სპილოსხელაც გავიზარდო.

აქა აქსაჲ  
ჩაქუს  
ჩასუჭაჭისა,  
აწუ  
„ქაუტის ქაუტ-  
ჭაუტის  
ჭაუტისო“

ალარ იკლებს წყალს და  
ბალახს,  
რძეს და კარაქს...  
მე შენ ვეტყვი,  
შეისვენებს,  
მადა არ აქვს?!  
ცხრა მტკაველი ქონი

აღევს,  
ლაბაბი აქვს ცხრა ნაოჭა;  
ვეებურთელა პირ-სახეზე  
თვალები ალარ მოუჩანს.  
მოკლედ, ისე გაგვისუქდა,  
მისი ნახვაც არვის უნდა.  
ზოგჯერ ისე ძღება,  
ფეხზე ველარ დგება,  
ტახტზე რომ ვერ ადის,  
იატაკზე წეება.  
გვერდზეც ვერ ბრუნდება,  
წყალშიც იძირება...

თავსაც ურჩენია  
ერთი მიძინება.  
ექიმმა რომ ნახა,  
გაიქნია თავი:  
— ჭერში გეძინათო, —  
აბა, სად იყავით?..  
არც ბალახის წვეთები და  
არც ტოტები ნუშებისო,  
მაგას რამე თუ უშველის,  
ფიზკულტურა უშველისო,  
მიუჩინეს ბუკეს ტურა,  
რომ ასწავლოს

ფიზკულტურა  
ტურამ უთხრა:  
— თუ გსურს იყო  
ჯანმრთელი და მხიარული,  
ჯერ ნელი და მერე ჩქარი  
შეისწავლე სიარული.  
მართალია, გაჭირვებით,  
მართალია, გვიან,  
მაგრამ ჩვენი ბუკე

მინც შეეჩვია —  
უთენია დგება,  
აღარ აცდენს ვარჯიშს.  
სურვილი აქვს ხტუნვის,  
შრომისა და გარჯის.  
ფუთთან ლოდს ეჭიდება,  
აღარ უშლის დედა, —  
ცალი ხელით ცხრაჯერ  
ასწევს,


ორით რომ ვერ სწევდა.  
კმაყოფილი არის ტურა:  
შეაყვარა ფიზკულტურა!  
ერთ დღეს რომ არ  
ივარჯიშოს —

ბუკის სული ესუთება.  
მოაწონა ყველას თავი,  
ფრენბურთელმა,  
ფეხბურთელმა.  
სავარჯიშოდ აღარ ყოფნის  
ეზოს სიგრძე-განი...



სულ ას დღეში ასი კილო  
გაქრა, როგორც გრამი.

...  
ჰოი, რა ტან-ფეხი დაუდგა!  
ჰოი, რა ნაბიჯი!..  
შეხეთ, მოდის ბუკე —  
ჩვენი კობტა ბიჭი.





# ბავშვების სახლი

## ფოთლები

ნათა მაჩხაძე  
თავის დღე და მოსწრება,  
ფოთლებს ჰქონდათ ოცნებად  
ფურცა, ფრენა, ფრენა!  
და როდესაც დაბერუნენ,  
როგორც იქნა გააფლენ  
ფრენა,  
ფენა...

## ჩიტუნა სტეფან

გადაღე ბურთი—  
ჩიტუნა სტეფან,  
და მიეც სალამი  
ბალახს და ვზეს.  
შეზღვე, შეზღვე,  
ტყევალი თოვს,  
ტოტს ნუ შემატებავ—  
მუდარით გთხოვს.

## ფისოს გული სწყდება

ილია ხარამი  
კერეცკერი, კარგატი, ქსოვტი,  
ყურებს ვეწუსოვ თათბანებს,  
ვხვდება ფისოს გული სწყდება,  
ჩუმუნდა მითვლივალღებს...

## სახნი

ლინა ბარათაშვილი

ჯერ დათო ვარ და მინდა  
მალე გაუხდეს დავითი,  
სეხნია ვარ ბაბუსი  
და ვამყუბ ამითი.

## მ შ შ ა

თამარ ზიგვილაშვილი

დლით შევეზადები  
ბარითა და თოხით,  
სული ჯხდა ვიჯგრო  
ბებოს ყანით თოხნით.  
მართალია დავიღლები  
მაგრამ არა უშავს,  
აბა შრომა რას დააკლებს  
ჩემისთანა მუშას.

## სამართალი კურსა ქაშის

ვახტანგ ანუაძე

მამამ აეტო მიყილა,  
დაეკრი აქო-იქითა.  
შევაშინე იხვი და  
ბატმა ჩაიხითხითა.  
გამიფუტლა ბოგირთან,  
შარას ველარ მიეყვები.  
— სამართალი მურსა ქაშს,  
იციინან იხვები.

## რა მოუვიდა ფინიას?

გიჟან სვანიძე

— რა მოუვიდა, — რა იყო,  
რატომ წკაფწკაფებს ფინია?  
— რა და... წუხელი ეხოში  
წყლის გუბე გაუყინია,  
დლით ფინია წამოღდა,  
გამშრალი ჰქონდა პირია,  
გუბეს მიაღვა, ჯერ ისევ  
თვალეზში ჰქონდა ძილია,  
წყალი ეგვინა და ყინულს  
იხე ატაკა ცხვირია,  
რომ საწყვადს ბრუნრი გაუსკდა,  
ჩაემტვრა წინა კბილია.

## უსიტყვილი გუბიკელა

ვალერიან მონაშვილი

— რატომ ხარ დაღერემილი,  
მაწინა თინა,  
ზურიკელა  
ჩხუბისთავმა  
ხომ არ გაწყენინა?  
— არა, არა, მურიკელამ,  
ციცქნამ, ცეროდენამ,  
თამაშის დროს  
უსიტყვილოდ  
გამომიყო ენა.






ქანახშირის მონახლება



სამჭიდლო სახალისო

ფორებზე, საერთოდ ლარ-  
ნაკებზე ხატავდნენ ბერძენი  
მხატვრები და ამას ლარ-  
ნაკწერას ვეძახით. ეს ამ-  
ფორა, რომელიც დღესაც  
ინახება რომში. მოუხატავს  
შავსაღებავიანი ლარნაკ-  
წერის ოსტატს ექსეკიასს  
ძველი დროის მეექვსე საუ-  
კუნეში, ე. ი. ამ 2600 წლის  
წინათ. სურათზე გამოხა-

ტული არიან დიდი ბერძენ-  
ნი გმირები—აქილეუსი და  
აიანტი, ისინი კორობანას  
თამაშობენ, ხელში კი შუ-  
ბები უჭირავთ—ეტყობა,  
ბრძოლასა და ბრძოლას  
შუა ისვენებენ. ფონზე ნა-  
ხატი ჩინებულად ეხამება  
ამფორის ფორმას. ექსეკიას-  
სი ამ საქმის დიდი ოსტა-  
ტი იყო.



ალექსანდრიის შუბრა



მებრძოლები აფხაზის  
ისხამა




საქართველო



**მწარალი და უცნობი კაცი,  
ანუ აზგაპი იმაზე, თუ რატომ  
არ უნდა ჩაიხადო სხვის  
წერილში**

**როგორ ასწავლა  
ქურდმა ცხენის  
ქურდობა ცხენის პატრონს**



ერთი კაცი წერილს წერდა. მის მახლობლად ვიღაც უცნობი იჯდა და წერილში ჩასცქეროდა. იმ კაცმა ჩანერა: „ვიღაც უცნობი სულელი ჩემს მახლობლად ზის და ჩემს წაწერს კითხულობს, ამიტომაც საიდუმლოს არაფერს ვწერო.“

ერთი ქურდი თავლაში შეიპარა ცხენის მოსაპარავად, მაგრამ გაუგეს და დაიჭირეს.

ცხენის პატრონმა უთხრა ქურდს:

— თუ ცხენის ქურდობას მასწავლი, გაგათავისუფლებო.

ქურდი დათანხმდა, — ცხენს მიუახლოვდა, დაბორკილ ფეხებზე თოკი შეხსნა, ლაგამი ამოსდო, მოახტა და გააჭენა.

— აი, უყურე, ასე უნდა ცხენის მოპარვაო! — მიიძახა ცხენის პატრონს.

ცხენის პატრონმა ბევრი სწავა, მაგრამ ველარ დანია.

— მაშ მე სულელად მთვლი? — იწყინა უცნობმა, — რატომ არ დანერე საიდუმლო, არც მიფიქრია შენი წერილის წაკითხვა.

— თუ ჩემი წერილი არ წაგიკითხავს, საიდან გაიგე, რომ ასეთი რამ ჩაწერე? — უპასუხა მწერალმა.



**ქუნი და კაჭადი,  
ანუ როგორ ასწავლა ჭაპა  
ქუნს მკობარს**

ერთ კაცს ქუნი მეგობარი ჰყავდა. ერთხელ უთხრა:

— დღეს სამოგზაუროდ მივიდვიარ. შენი ბეჭედი მომეცი. ყოველთვის თან ვიქონიებ და როცა დავხედავ, შენ გაგისხენებო.

— თუ ჩემი ფახსენება გინდა, როცა შენს უბეჭდო თითს დაინახავ, მაშინ მომიგონე, ამა და ამ კაცს ბეჭედი ვთხოვე და არ მომცაო, — უპასუხა ქუნმა.



# გამაჟონი

ანდრე კარბელაშვილი

17101

— აჰა, გამომართვი, ახალი ტელეფონის აპარატი მოგიტანე, — უთხრა მამამ გიგლას.

გიგლამ ყუთი ჩამოართვა და გახსნა. გახსნა და გაკვირვებით შეათვალიერა აპარატი — მას არც ჩვეულებრივი ფორმა ჰქონდა და არც მბრუნავი დისკო, რომელზეც ნომრები იკრიფება.

— მამა, ნომერი როგორ უნდა ავკრიფო?

— გასწავლი, ოღონდ ჯერ ძველი აპარატი მოვხსნათ და ეს ჩაერთოთ.

როცა საქმეს მორჩინენ, გიგლამ ყურმილი აიღო.

— მზად არის, სადგურის სიგნალი მესმის.

— რა ნომერზე დარეკავ? — ჰკითხა მამამ.

— ლევანს დავურეკავ, 22-99-99.

— აი ამ ციფრებიან ლილაკებს თითი ფრთხილად დააჭირე და აუშვი. აი აქ, — ორი, ორი, ცხრა, ცხრა, კიდევ ცხრა და ცხრა.

პასუხი მაშინვე გაისმა.

— ლევანი ხარ? ამოდი, ტელეფონის ახალი აპარატი უნდა გაჩვენო, მამამ მოიტანა.

ლევანი იმავე სადარბაზოში ცხოვრობდა ქვედა სართულზე, და მაშინვე ამოირბინა.

— რა ლამაზი ტელეფონია! — მოენონა ახალი აპარატი.

— მარტო ლამაზი კი არა, ჭკვიანიც არის, — უთხრა ბავშვებს გიგლას მამამ. — შეუძლია უკვე აკრეფილი ნომერი დაიმახსოვროს.

— ახლა მე რომ ლევანთან დავრეკე, ის ნომერი „ახსოვს“? — გაიკვირვა გიგლამ.

— არა გჯერა? აი, ეს გამეორების ლილაკია, თითი დააჭირე და დარწმუნდება.

ლევანმა ლილაკს თითი დააჭირა და მაშინვე გასცა პასუხი დედამ.

დაუმახსოვრებია! — გაცვიფრდა ლევანი.

— ეს ელექტრონული ტელეფონია. შიგნით ელექტრონული სქემები აქვს, რომლებიც აკრეფილ ნომრებს იმახსოვრებენ. თუ დარეკე და ტელეფონი დაკავებული აღმოჩნდა, მეორეჯერ ნომრის აკრეფა აღარ დაგჭირდება. გამეორების ლილაკს დაადებ თითს.

— მაინც როგორ იმახსოვრებს?

— ამის გაგება თქვენ გაგიჭირდებათ, მაგრამ როცა გაიზრდებით და ფიზიკას ისწავლით, მარტო ამას კი არ გაიგებთ, იქნებ უკეთესი ტელეფონიც კი გამოიგონოთ.

დიდხანს უტრიალებდნენ გიგლა და ლევანი ახალ აპარატს. რამდენჯერმე დარეკეს მეგობრებთან და შეამოწმეს აპარატის „ტივინის“ მახსოვრობის გასაოცარი უნარი.

მართლაც, კარგი ტელეფონი მოუტანა მამამ გიგლას, ლამაზიც და გონიერიც.



მხატვარი სოფიო კინწუაშვილი

პატივსაცემი ანდრე კარბელაშვილი  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

## კვალმადიებლები

ამ სამოცდაოთხი წლის, წინათ ლენინმა შექმნა საბჭოთა არმია. ჩვენი არმია არასოდეს არავის არ დასძლია თავს. იგი სამშობლოს იცავს, იცავს საბჭოთა კავშირს. ჯერ იყო და, როცა ახალგაზრდა სოციალისტურ ქვეყანას თოთხმეტი კაპიტალისტური ქვეყანა ებრძოდა, მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ განდევნა მომხდურები. შემდეგ ჰიტლერელთა ურდოები დაგვესხნენ თავს. საბჭოთა არმია გამირულად იბრბოდა, დაამარცხა გერმანელი ფაშისტები და ევროპის ბევრი ქვეყანა გაათავისუფლა ფაშისტური მონობისაგან. ჩვენი არმია დღესაც მშვიდობის სადარაჯოზე დგას.

თქვენ ჯერ ალბათ ბევრი რამ არ იცით საბჭოთა არმიის შესახებ. არადა ამ სამოცდაოთხი წლის მანძილზე მისი საბრძოლო გზა სამშობლოსადმი სამაგალითო თავდადებითა და ერთგულებით არის აღსავსე. გამაზობთ ერთ ეპიზოდს. ეს ამბავი ვეტერანთა შეკრებაზე მიამბვს ბელორუსში ამხანაგებმა.

ბელორუსიაში არის ერთი ტბა—ლამაზი, ლურჯ-ტალღება ტბა, და ხალხი ამიტომ „ლურჯს“ უწოდებს. მინსკის ერთ-ერთი სკოლის პიონერებს გაუგიათ, რომ ამ ტბაში სამამულო ომის დროს თვითმფრინავი ჩავარდნილა—ჩვენს გამანადგურებელს გერმანელთა ჯარის ნაწილები დაუბომბავს და უკან დაბრუნებულა,



მაგრამ ბელორუსიის ცაზე მისთვის გზა გადაუჭრია გერმანელთა ხუთ თვითმფრინავს. ფიცხელ ბრძოლაში ჩვენს მფრინავებს ერთი თვითმფრინავი ჩამოუვდიათ, მაგრამ უთანასწორო იყო ძალები და ტყვეით დაცხრილული ჩვენი გამანადგურებელი ტბისკენ დაქანებულია და შიგ ჩავარდნილა. ამას წინათ ბავშვებს იქაურობა მიმოუჩხრეკიათ და თვითმფრინავის ფრთა უპოვნიათ. შემდეგ უფროსებს, ბავშვების დახმარებით, თვითმფრინავს ტანი—ფიუზელაჟიც უნახავთ ტბის ფსკერზე ლამში ღრმად ჩაფლული. როცა თვითმფრინავი აშოიღეს, იქ ხუთი საბჭოთა მებრძოლის გვამი აღმოაჩინეს. ლურჯი ტბის ლამს თითქმის 40 წლის მანძილზე კარგად შეენახა მათი იარაღიც და საბუთებიც. ასე ამოიხსნა დიდი ომის კიდევ ერთი პატარა საიდუმლო. ხუთი მებრძოლი, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებოდნენ, მშათა სასაფლაოზე დაასაფლავეს.

ისეთ ბავშვებს, ის თვითმფრინავი რომ აღმოაჩინეს, წითელკვალმაძიებლებს უწოდებენ. წითელკვალმაძიებლები ეძებენ ომის ნაკვალევს, ვხმარებიან ვეტერანებს, იწერენ მათ ნაამბობს, აგროვებენ ექსპონატებს საბრძოლო დიდების მუზეუმებისათვის, მიაქვთ ყვავილები უცნობი ჯარისკაცების საფლავებთან, ობელისკებთან, მემორიალებთან. მათ იციან, რომ საბჭოთა არმია ჩვენს მშობლიურ ცას და მიწა-წყალს სდარაჯობს.

**ბასილ გვებტაძე, პოეტი, სამამულო ომის ვეტერანი**





# წიგნების კუთხე

## წიგნების კუთხე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბაჭია. ძალიან ბევრით იყო, უყვარდა წიგნებსა კითხვას, მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირდა — ნაიკეთხადეა თუ არა წიგნს, გულს აიკრუნებდა, ან შერაცხავდა ჩახატვად, ან მეტიად დათხოვნიდა, ან სულაც დახეუდა.

იქამდე გათამამდა, რომ სკოლაში ამხანაგებს წიგნების გაფუჭებასაც მიჰყო ხელი. თანაკლასელები შესვენებებზე კლასიდან რომ გაედიოდნენ, ის კარადის უკან დაიმალეოდა, მიერ რომელიმე ჩანთას გახსნიდა, ამოიღებდა წიგნს, ამოხედა ფურცლებს და... გადასანსალავდა. ბევრი იქნებეს დამნაშავე; მაგრამ ვერ იპოვეს. ბოლოს კრება მოწვევის მასწავლებელმა დათვა სათვალის მიუხედავად გადახედა კლასს და თქვა: დამნაშავეს უჯობს, თვითონვე გამოტყუოს.

— ვინ არის ნეტავი ის მამულნი! — აღმოუბნებოდა წიგნების მფლობელის ლეკვამ.

— მიაუ, მიაუ, როგორ არა სცხევირაუ! — აეხედა კაბა.

— მე ერთ ვინმეზე მატეს ეჭვი, — ხმა ამოიღო ზღარბმა და კლასს მიმართა:

— აბა, მითხარით, რომელი ფურცლებია თქვენი წიგნებიდან ამოხეული?

— სტაფილო და კომპოსტო რომ უნდა — თქვა დათვის ბელმა.

— ჩემი წიგნიდანაც! ჩემი წიგნიდანაც! — გაისმა აქეთიქიდან.

— მიაუ! უყურე, კომპოსტო ყვარებირაუ! — გაიცინა კატამ.

ყველამ ბაჭიას გადახედა: — მე რას მიყურებო, — ჩემგან რა გინდათო, — ატირდა ცანცარა.

— კომპოსტო და სტაფილო შენ გიყვარს, — მიახალა ზღარბმა, — და იმდენად ნუნევი ხარ, ნახატს რომ დაინახავ, მაშინაც ნერწყვი მოგდის. ესეც არ იყოს, ყველამ ვიცით, რომ წიგნების


გაფრთხილება არ გიყვარს, სულ თხერი და თხუანი. უხათულოდ შენი დახეული იქნება ჩვენი წიგნებიცო.

— ვირი დახედა. ეგ ხომ ნამდვილი ვირია, სწავლა მაგას არ უყვარს და წიგნი, — ახლა ასე სცავდა თავის მართლებას ბაჭიამ.

— მე შენ გიკრებენ, რას ნიშნავს ვირი! ნახე თუ ნიშნებით კბილები არ ჩაგიმტვრიო. — ჩაიყროიყრა ჩოჩორომა.

რაკი ბაჭია არ გამოტყუდა და დამამდვილებით ეკრავიერი დაადგინეს, დაიმალნენ, მაგრამ თვალწყვტეს, ბაჭიონითვის თვალწყვტეს, ბაჭიონითვის ერთხელ იმის წუხად შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, ისეთი წიგნი ვიყიდეთ, სადაც კურდღლების საყვარელი ლისტინული იქნება დახატული, ნახატებზე წინააწადესკვით და ენახეთ, რა მოხდებაო.

ასეც მოიქცნენ. მერე ბაჭიას აჩვენეს ეს წიგნი: კლა



სისათვის ვიყიდეთო, და კარადში შეინახეს. ბაჭია ერთხანს ფრთხილობდა, მაგრამ ბოლოს სულმა წაასძლია — შესვენებებზე, როცა თანაკლასელები გარეთ გაეგულა, კარადისთან მიიპარა, გამოალო, სტაცა ხელი წიგნს, ამოხია ერთი ფურცელი, იკრა პირში და... აღრიოდა!

— ვაიმე დედა! ვაიმე დედა! შემოვიყვინდნენ თანაკლასელები და მასწავლებელი.

— აი, შე ნუნევი, შენა, — ყურთა აუწია დათვდა. — ლირსი არა ხარ, წიგნიჭამია შეგარქვით?

— მამაკეთო, ნუ შემარქმევთ წიგნიჭამიას და გვეციტებთ გამოვსწორდები!

აპატეს. ბაჭიაც გამოსწორდა და მას შემდეგ წიგნებს თვალისწინივით უფრთხილდება.

ეს ზღაპარი კი სხვა წიგნიჭამიების გასაფრთხილებლად დაიწყო.



კ ი ნ ბ ვ მ ი ნ  
გზნულულიდან სიბოლოით  
გვესტუმრა ზორბა კანკანია.



### სიბოლოით

დასულს მოგვამოგვანენ  
წახლესი ტპით გათულონი,  
კინ არის, იყინო?  
ათული და ბათული.

ც ი მ მ ს კ ი  
გობით და სოკო ნივით  
გვიკაპუნებს ცელზე ცივით.

— ე, რამდენი ვიარე  
ზან ბარში და ხან მოიშო...  
— რა უკავი შენგებო,  
— აკვრა მკავებ, ჩანთაში!

# ჩეხური

ჭე “

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

ჭე ”

საპარტიზოლოც  
ალკა ტკინა  
და ვ. ი. ლენინის  
სახელოვნის  
პირენარტა  
ორგანიზაციის  
რესპუბლიკური  
ხაზვობის  
შტაბის  
სტამბოქალა-  
ხელმთვევის

გამოცემის  
ნა-ე წელი  
ხაზვ კ 03-05  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии

ელახე ნახატი ვაჟა მელქიეშვილისა

### მთავარი რედაქტორი მ შუბრან შაჰპარაიანი

სარედაქციო კოლეგია: ელჰანდ ამოკაძე, ილინა ანთელავა, ჯუჯუა გომეიშვილი, სოლომონ დ. შურსანაშვილი, ლეილა ერასე, ზურაბ ლეჟავაძე (მჭე მდებარე), მანანა კობახიძე, ზილა ლოსხაძე. რიმი, მამუკლა მრევილიშვილი, ჯურსა ნალიჩაძე, გიორგი გომიწვიშვილი (სახხატრო რედაქტორი). ვივი ქნულაძე, მიჩი წიკლაური, ვივი ვივიანაძე

### ტექნოლოგიური ინლი წერეთელი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, ტაშის -- თბილისი, ლენინის, 14. ტელ: ში. რედაქტორის -- 93-41-30, 93-98-15; მჭე მდებარე -- 93-41-30, 93-98-18; სახე. რედაქტორის -- 93-98-18; გამომცემ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

ვალდებუ სასწავლოა 2/1-811 წ. ხელმოწერილია დისამეტრულ 221-92 წ., ქაღალდის ზომა 6 X 10 1/2 დს. ნაბ. ფურც. 2მ, ტირაჟი 168.000. შტა. № 3(5), „Диа“ № 2. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Главный редактор М. Мачавариани. Тбилиси, ул. Ленина, 14 цена 20 კ